

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს,  
ქალბატონ ნათია ბუსკაძეს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლების,  
ლიკა ჩქოფოიას და ხათუნა ხელიძის

### მოსაზრება

(ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის (ლოტი 1 გვირაბი, ლოტი 2 გზა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ანალიზის - ექსპერტიზის დასკვნის თაობაზე)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2020 წლის 13 მარტს შემოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს (შემდგომში - სასამართლო) 2020 წლის 02 მარტის გზავნილი (დეპარტამენტში რეგისტრაციის №5861/2), რომლითაც წარედგენილ იქნა ააიპ „მწვანე ალტერნატივა“-ს (ს/ნ: 204952676) (შემდგომში - მწვანე ალტერნატივა ან/და მოსარჩელე) სარჩელი თანდართული მასალებით (ადმინისტრაციული საქმე №3/4820-19). აღნიშნულ საქმეში დეპარტამენტი ჩაბმულია, სასამართლოს 2019 წლის 18 თებერვლის განჩინებით. მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის №2-354 ბრძანების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გზავნილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის №27719/2), დეპარტამენტში შემოვიდა მოსარჩელის 2020 წლის 05 ნოემბრის №04/10-55 შუამდგომლობა (შემდგომში - შუამდგომლობა), რომელსაც თან ერთვის ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 1 გვირაბი, ლოტი 2 გზა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ანალიზი, ექსპერტიზის დასკვნა“ (შემდგომში - ექსპერტიზის დასკვნა), აღნიშნული შუამდგომლობით მოსარჩელემ მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის საქმის წარმოების მასალებზე დართვა და ამასთან, ექსპერტ მამუკა გვილაფას სასამართლო სხდომაზე ზეპირი გამოკითხვა, მისი დასკვნების განმარტების მიზნით.

დეპარტამენტმა განიხილა აღნიშნული შუამდგომლობა, რაზედაც მოგახსენებთ შემდეგს:

✓ ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ, კერძოდ: ლოტი 1 დაფინანსებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, ხოლო ლოტი 2 აზიის განვითარების ბანკის მიერ. აღნიშნული მოცემულობის პირობებში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება ხდება როგორც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად, ასევე, ზემოაღნიშნული დონორი ორგანიზაციების უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის გათვალისწინებით;

თბილისის საქალაქო სასამართლო	
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია	
შემოსავლის მართი	18.01.21
შემოსავლის მართი	
შემოსავლის მართი	
შემოსავლის მართი	
შემოსავლის მართი	4271389
შემოსავლის მართი	
შემოსავლის მართი	

✓ კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა და სამინისტროს წარედგინა სკოპინგის ანგარიში, რომელიც განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურების გავლის შემდგომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს №2-707 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა;

✓ სკოპინგის დასკვნის პირობებისა და კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/81>), ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის №2-354 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (შემდგომში - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება);

✓ პარალელურად დაიწყო აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისი ინგლისურენოვანი დოკუმენტის (Preparation of Environmental Impact Assessment for the Kvesheti-Kobi Road Section – Lot 1 Tunnel South Portal Kobi and Lot 2 – Kvesheti-Tunnel South Portal - March 2019/გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთისთვის, ლოტი - 1 გვირაბის სამხრეთ პორტალი, კობი და ლოტი 2 - ქვეშეთი-გვირაბის სამხრეთ პორტალი) მომზადება, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოქვეყნდა როგორც EBRD-ისა და ADB-ის, ასევე დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი EBRD-ის პოლიტიკის თანახმად, გასაჯაროებიდან დამტკიცებამდე გადის 120-დღიან პროცედურას, რომლის დროსაც ხდება მისი ინფორმაციით შევსება და განახლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ექსპერტიზის დასკვნის დეტალური შესწავლის შემდგომ ნათელია, რომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მომზადებულია იმ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად მომზადებული ინგლისურენოვანი დოკუმენტის ქართულ თარგმანს და განთავსებული იყო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე და არ წარმოადგენს იმ დოკუმენტის განხილვისა და ანალიზის შედეგს, რომლის საფუძველზეც გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. შესაბამისად, დეპარტამენტი ვერ დაეთანხმება მოსარჩელის შუამდგომლობით დაყენებულ ვერცერთ მოთხოვნას და მიაჩნია, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. არ უნდა დაკმაყოფილდეს ექსპერტიზის დასკვნის საქმის წარმოების მასალებზე დართვის მოთხოვნა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია იმ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად მომზადებული ინგლისურენოვანი დოკუმენტის ქართულ თარგმანზე და არ შეიცავს იმ დოკუმენტის განხილვისა და ანალიზის შედეგს, რომლის საფუძველზეც გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, შესაბამისად, აღნიშნული დასკვნა წარმოდგენილ

საქმესთან კავშირში არ არის, იგი ვერ გამოდგება საქმეში არსებული გარემოებების მტკიცებულებად და მითმეტეს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებად.


2. ექსპერტ მამუკა გვილაგას სასამართლო სხდომაზე ზეპირ გამოკითხვის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან წარმოდგენილი დასკვნა არ არის რელევანტური მოცემულ საქმესთან, შესაბამისად, მისი გამცემი პირის განმარტებებსაც ვერ ექნება რაიმე მნიშვნელობა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისთვის.


მითითებული გარემოებებიდან ნათელია, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილება გამოიწვევს საქმის გაჭიანურებას და არასწორი მიმართულებით წაყვანას, ასევე იმ გარემოებებზე მსჯელობას, რომელსაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საქმისთვის და საერთოდ არ უნდა ყოფილიყო არათუ სასამართლოს, არამედ მხარის განხილვის საკითხი.

ამასთან, დეპარტამენტი მზადყოფნას გამოთქვამს განიხილოს რელევანტურ დოკუმენტზე მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გააანალიზოს იგი და უპასუხოს ყველა არსებით კომენტარს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი - მინდობილობა

პატივისცემით,

  
ლ. ზეთელია

  
ბ. შელიძე

18.01.2021 წ.



**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**  
**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

N 2-07/14898  
28/12/2020

14898-2-07-2-202012281629



**მ ინ დ ო ბ ი ლ ო ბ ა**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე და 94-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) იურიდიული სამსახურის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) **სალომე წურჭუბიას (პ/ნ 19001060442)**, იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილეს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) **ლიკა ჩქოფიას (პ/ნ 62001003322)**, ამავე სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) **ხათუნა ხელიძეს (პ/ნ 01011017138)**, ამავე სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ირაკლი კამლაძეს (პ/ნ 01025017218)**, ამავე სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს **სანდრო ვაშაყმაძეს (პ/ნ 01008056308)** და ამავე სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ერეკლე შონიას (პ/ნ 01001090796)** მიეცეთ უფლება, ინდივიდუალურად ან/და ერთობლივად, წარმოადგინონ და დაიცვან დეპარტამენტის ინტერესები საქართველოს საერთო სასამართლოებში (მათ შორის ყველა რაიონულ/საქალაქო და მაგისტრატ სასამართლოებში, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში) და აღნიშნულთან დაკავშირებით ინდივიდუალურად ან/და ერთობლივად გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, კერძოდ: წარადგინონ სარჩელები, საჩივრები (სააპელაციო და საკასაციო) და შესაგებლები (მათ შორის პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო), ხელი მოაწერონ მათ; წარადგინონ, გამოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ხელზე); ასევე განახორციელონ ნებისმიერი, საჭირო მოქმედება/ღონისძიება (სასარჩელო მოთხოვნის შემცირების, სარჩელის ცნობისა და მორიგების გარდა), რომელიც შეიძლება არ იყოს მითითებული მინდობილობაში, მაგრამ საჭირო გახდეს დეპარტამენტის ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

